



ნა უნდა ვიხმოდეთ

ჩძის

და ჩძის პროდუქტების
წარმოების, დამზადებისა
და ჩეაღიგაზხიისათვის

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოში რძისა და რძის პროდუქტების წარმოება რეგულირდება შემდეგი ნორმატიული აქტებით:

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის N152 დადგენილება „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ძირითად მოთხოვნებს რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტის მიმართ და აწესრიგებს ბიზნესოპერატორის მიერ რძის, რძის ნაწარმის და რძის შემცველი პროდუქტის წარმოებისა და ბაზარზე განთავსების პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 აპრილის N195 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი – ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზის და გამოკვლევის მეთოდების შესახებ“, რომელიც ადგენს სახელმწიფო კონტროლის დროს ლაბორატორიული გამოკვლევისათვის ანალიზისა და გამოკვლევის მეთოდებს ადამიანის მიერ უშუალო მოხმარებისთვის განკუთვნილ თერმულად დამუშავებული რძისათვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N585 დადგენილება „საკვები დანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს ჩამონათვალს, თუ რომელი საკვები დანამატების გამოყენება შეიძლება სურსათში, მათ შორის, რძის პროდუქტებში.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნებს რძისა და რძის პროდუქტების შესახებ მომხმარებლის ინფორმირებისათვის.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის N22 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – ცოცხალ ცხოველებსა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების მონიტორინგის წესს და მიზნად ისახავს ცხოველური წარმოშობის სურსათში ზოგიერთი ნივთიერებისა (სუბსტანციის) და მათი ნარჩენების რეგულირების ერთიან პრინციპებს.



საქართველოს მთავრობის 2015 წლის 18 დეკემბრის N639 დადგენილება „ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების, მათი კლასიფიკაციისა და ცხოველური წარმოშობის სურსათში ნარჩენების მაქსიმალური ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს ცხოველური წარმოშობის სურსათში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კლასიფიკაციას, მათი და, ასევე, ნარჩენების მაქსიმალურ ზღვარს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 10 ნოემბრის N581 დადგენილება „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს სხვადასხვა სახეობის სურსათის უვნებლობის – მიკრობიოლოგიურ მაჩვენებლებს და, ასევე, განსაზღვრავს ბიზნესოპერატორის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჰიგიენის წესის შესრულების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებებს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის N567 დადგენილება „სურსათში ბოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც ადგენს სხვადასხვა დასახელების სურსათისათვის დამაბინძურებლების (კონტამინანტების) მაქსიმალურად დასაშვებ ზღვარს და დაბინძურებული სურსათის გამოყენებასთან დაკავშირებულ შემზღუდვებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N10 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – საცალო ვაჭრობაში დაუფასოებელი პროდუქციის მიწოდებისა და რეალიზაციის ჰიგიენური პირობებისა და წესების დამტკიცების შესახებ“, რომელიც ადგენს სავაჭრობის ობიექტებში დაუფასოებელი რძის და რძის პროდუქტების მიწოდებს წესს და პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 ივლისის N198 დადგენილება „ბიოწარმოების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს რძის ბიოწარმოების პირობებს.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მარტის N90 დადგენილება „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“. დადგენილებაში მოცემულია სურსათის წარმოების პროცესის მიმართ ზოგადი ჰიგიენური მოთხოვნები.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №722 „ბიზნესოპერატორის აღიარების წესი“, რომელიც ავალდებულებს ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებასთან ან/და გადამუშავებასთან დაკავშირებულ საწარმოებს, მიიღონ სახელმწიფო აღიარება/უფლებამოსილება წარმოებასთან დაკავშირებით, გარდა იმ ბიზნესოპერატორებისა, რომლებიც ოჯახურ ან პირველად წარმოებას ტრადიციული მეთოდებით ახორციელებენ ან მაღალმთიან რეგიონებში აწარმოებენ ან/და ამუშავებენ ცხოველური წარმოშობის სურსათს, ასევე, ვინც ახორციელებს პირველადი პროდუქტის პირდაპირ მიწოდებას საბოლოო მომხმარებლისათვის ან საცალო ვაჭრობის პუნქტისათვის, რომელიც უშუალოდ ამარაგებს საბოლოო მომხმარებელს და რომელსაც სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად აქვს მცირე ბიზნესის სტატუსი (წლიური ბრუნვა არ აღემატება 200 000 ლარს).



კანონმდებლობის მოთხოვნები

ევროპული პრაქტიკის შესაბამისად, რძე და რძის პროდუქტები მიეკუთვნება მაღალი რისკის პროდუქტებს და ასეთი პროდუქტების მიმართ მიღებულია შედარებით მეტი რეგულაცია. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოში, რძისა და რძის პროდუქტების მიმართ ამ ეტაპისათვის უკვე არსებობს 14 ტექნიკური რეგლამენტი, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნებს ამ პროდუქტების მიმართ.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნედლი რძე უნდა იყოს მიღებული ისეთი პირუტყვისაგან, რომელსაც: არ აქვს ინფექციური დაავადებები, რომლის ორგანიზმიდანაც სრულად არის გამოდევნილი მკურნალობის დროს მიღებული პრეპარატები, რომელიც განთავსებულია ისეთ სადგომში, სადაც არ არის აღმოჩენილი ბრუცელიოზი ან ტუბერკულოზი.

რძე და რძის პროდუქტის დამზადებისათვის გამოყენებულ ნედლ რძეში სომატური უჯრედების რაოდენობა 1 მლ-ში არ უნდა აღემატებოდეს 500 000-ს, ხოლო სიმკვრივე უნდა იყოს არანაკლებ 1027 კგ/მ³.

რძის ან/და რძის პროდუქტების წარმოება სახელმწიფო აღიარების გარეშე აკრძალულია. ნებისმიერი მწარმოებელი პირი ვალდებულია საწარმოში დანერგილი ჰქონდეს HACCP-ის სტანდარტის მოთხოვნები, რაც გულისხმობს შემდეგს: ადგილები, სადაც ხდება რძის მიღება, შენახვა და დამუშავება, არ უნდა ბინძურდებოდეს, კერძოდ, დაცული უნდა იყოს მწერებისაგან, გაცალკევებული უნდა იყოს ცხოველების სადგომისაგან. ასეთ ადგილებში გამოყენებული საშუალებები (ჭურჭელი, კონტეინერები და სხვა) უნდა ირეცხებოდეს მუდმივად და პერიოდულად ხდებოდეს მათი დეზინფექცია.

მიღებული რძის გადამუშავება უნდა მოხდეს რძის მიღებიდან მაქსიმუმ 4 საათში, მას მერე, რაც რძე მიაღწევს 6°C ტემპერატურას.



საქართველოს კანონმდებლობა მკაცრად არეგულირებს რძისა და რძის პროდუქტების ეტიკეტირების საკითხს. აკრძალულია დასახელება „რძე“ ან რძის პროდუქტი, მაგალითად, „მაწონი“, „არაჟანი“ და სხვა დატანილ იქნას პროდუქტის ეტიკეტზე, თუ იგი დამზადებული არ არის ნამდვილი რძისაგან. კანონმდებლობის მიხედვით, ეტიკეტზე უნდა იქნას დატანილი ყველა ის ინგრედიენტი, რაც შედის პროდუქტში და დასახელებაში მკაფიოდ უნდა იკითხებოდეს, რომ ასეთი პროდუქტი არ არის რძის პროდუქტი. რძისა და რძის პროდუქტების ეტიკეტირების საკითხს დეტალურად არეგულირებს რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს მოთხოვნებს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი რძის პროდუქტის მიმართ, არის რეგლამენტი თერმულად დამუშავებული რძის ანალიზისა და გამოკვლევის მეთოდების შესახებ. დოკუმენტში მოცემულია ის პროცედურები, რომლითაც რძეში უნდა დადგინდეს მშრალი ნივთიერებების საერთო რაოდენობა, ცხიმშემცველობა, გაუცხიმოვნებული ნაშთის საერთო რაოდენობა, საერთო აზოტი, ცილა და სიმკვრივე. დოკუმენტში მოცემულია ფორმულები, რომლის გამოყენებითაც ხდება აღნიშნული მაჩვენებლების განსაზღვრა.

მომხმარებლისათვის სურსათის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების შესახებ ახალი რეგლამენტის თანახმად (რეგლამენტი ძალაში შედის 2019 წლის 1 მარტიდან), მწარმოებლებმა სასურსათო პროდუქტის შესახებ მომხმარებელს, პროდუქტის შემადგენლობასა და მეწარმის დასახელებასთან ერთად, უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პროდუქტის იმ რისკების შესახებ, რომელიც სურსათის მიღების შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს. მწარმოებელმა მომხმარებელი უნდა უზრუნველყოს ინფორმაციით სურსათის კვებითი ღირებულებების შესახებ და, ასევე, იმ ინფორმაციით, რაც აუცილებელია განსაკუთრებული კვებითი მოთხოვნების ადამიანებისათვის (ალერგიის, დიაბეტის ან/და სხვა დაავადებების მქონე პირებისთვის).

რძისა და რძის პროდუქტების მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების კონტროლის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად, რძე და რძის პროდუქტები ბაზარზე განთავსებამდე უნდა შემოწმდეს სტაფილოკოკზე, სალმონელაზე, ენტერობაქტერიებზე შემდეგი ევროპული/საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად – EN/ISO 6579, ISO 21528-1, ISO 16649-1 ან 2, EN/ISO 6888-1 ან ჩამოთვლილი სტანდარტები შეირჩევა შესაბამისი ლაბორატორიის მიერ პროდუქტის სახეობის მიხედვით.



ცხოველური წარმოშობის პროდუქტების სახელმწიფო კონტროლის წესის შესაბამისად, ნედლი რძის მწარმოებელი მეწარმეები ვალდებული არიან შესაძლებლობა მისცენ შესაბამის პირებს დაუბრკოლებლად შეამოწმონ საწარმოს ტერიტორია. კონტროლი მიმართულია იმისკენ, რომ დაადგინოს, თუ რა სახის პრეპარატები იყო გამოყენებული ცხოველისათვის, რა ეტაპზე დაიწყო ნედლი რძის წარმოება და სხვა. კანონმდებლობის მიხედვით, არ შეიძლება ნედლი რძის გადამუშავება ცხოველის მოგებამდე 7 დღით ადრე და ლაქტაციის დაწყებიდან 7 დღის განმავლობაში.

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად გაწერს მოთხოვნებს დაუფასოებელი ცხოველური პროდუქტის სავაჭრო ქსელში განთავსების თაობაზე. აღნიშნული წესის შესაბამისად, დაუშვებელია არაპასტერიზებული რძის რეალიზაცია დაუფასოებელი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ ხდება პასტერიზებული დაუფასოებელი რძის რეალიზაცია, სავალდებულოა, რომ იმ სათავსოების რეცხვის რეჟიმი იყოს შემდეგნაირი: რძის ნარჩენების მოცილება უნდა მოხდეს 2 წუთის განმავლობაში ცივი წყლის გამოყენებით, რეცხვა უნდა ჩატარდეს კალცინირებული სოდის 0.5%-იანი ხსნარით 35-40 გრადუს ტემპერატურაზე, უნდა ხდებოდეს ჭურჭლის დეზინფექცია და ჭურჭლის გამორეცხვა უნდა მოხდეს 65 გრადუსზე გაცხელებული წყლით.

საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, განსაზღვრავს საკვები ფერმენტების, არომატიზატორებისა და სხვა საკვები ნივთიერებების (ნუტრიტების) სურსათში დამატების წესსა და მაქსიმალურ დასაშვებ ოდენობებს. აკრძალულია ბაზარზე ისეთი საკვებდანამატის შემცველი რძის პროდუქტის განთავსება, რომელიც არ აკმაყოფილებს რეგულაციით განსაზღვრულ საკვებდანამატების გამოყენების მოთხოვნებსა და ნორმებს.



საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია ცხოველური წარმოშობის სურსათში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ნარჩენების მაქსიმალური დასაშვები ოდენობა. მაგალითად, ალბენდაზოლის ნარჩენის რაოდენობა რძეში არ უნდა აღემატებოდეს 100 მკგ/კგ-ში, ხოლო ამიტრაზის – 10 მკგ/კგ-ში. აკრძალულია ცხოველური წარმოშობის სურსათში შემდეგი ნივთიერებების და მათი ნარჩენების არსებობა: *Aristolochia* spp და მისი პრეპარატები, ქლორამფენიკოლი, ქლოროფორმი, ქლორპრომაზინი, კოლხიცინი, დაფსონი, დიმეტრიდაზოლი, მეტრონიდაზოლი, ნიტროფურანი (მათ შორის ფურაზოლიდონი), რონიდაზოლი.

რეგულირებას დაქვემდებარებულია, ასევე, ნედლე რძეში, თერმულად დამუშავებულ რძესა და რძის ნაწარმში დამაბინძურებლების მაქსიმალური დასაშვები ზღვრები. მაგალითად, ნედლე და თერმულად დამუშავებულ რძეში ლითონების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 0,02 მგ/კგ-ში, მიკოტოქსინები 0,05 მგ/კგ-ში, ხოლო დიოქსინები და პოლიქლორბიფენილები 2,5 პგ /გ-ში.

ვეროკავშირი ჩაბუღებულია ჩიხს პროდუქტების მიმართ

ვეროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, რძე და რძის პროდუქტები მაღალი რისკის პროდუქტებს მიეკუთვნება, შესაბამისად, ვეროკავშირი ამ ტიპის პროდუქტებზე უფრო მეტ და მკაცრ მოთხოვნებს აწესებს, როგორც ქვეყნების, ასევე პროდუქტების მიმართ. იმისთვის, რომ რძისა და რძის პროდუქტების იმპორტი განახორციელოს ქვეყანამ (მაგალითად, საქართველომ), მან უნდა მოიპოვოს აღიარება ვეროკავშირის მხრიდან და შეყვანილ უნდა იყოს იმ მესამე ქვეყნების სიაში, საიდანაც დაშვებულია ვეროკავშირში რძისა და რძის პროდუქტების ექსპორტი. აღიარებას მოიპოვებს ის ქვეყანა, რომელსაც აქვს მიკვლევადობის ჯაჭვის ეფექტურად ფუნქციონირებადი სისტემა და მისი ტერიტორია აღიარებულია ცხოველური დაავადებისაგან თავისუფალ ტერიტორიად.

იმისთვის, რომ ვეროკავშირმა უზრუნველყოს მომხმარებლების უსაფრთხოება, იმპორტირებული საქონელი (მათ შორის, რძე და რძის პროდუქტებიც) უნდა აკმაყოფილებდეს ვეროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებს – საკვები უნდა იყოს უსაფრთხო და არ უნდა შეიცავდეს იმ რაოდენობის დამაბინძურებელ ნივთიერებებს, როგორც საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.

პირველ რიგში, ვეროკავშირი აკონტროლებს პროდუქტში დამაბინძურებელი ნივთიერებების (contaminants) რაოდენობას.

რეგულაცია 315/93 განსაზღვრავს საკვებში დამაბინძურებლების მიმართ ზოგად პროცედურებს, რომელთა თანახმადაც, საკვებში დამაბინძურებლების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჯანმრთელობისთვის საშიშ ზღვარს და გარკვეულ ტოქსიკოლოგიურ დონეს.

დამაბინძურებელი ნივთიერებების რაოდენობა მაქსიმალურად დაბალი უნდა იყოს – EC 1881/2006 რეგულაცია და მისი დანართი ადგენს დამაბინძურებელი ნივთიერებების მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს.

რძისა და რძის პროდუქტების შემთხვევაში არსებობს რამდენიმე სახის დამაბინძურებელი ნივთიერება.

პირველ რიგში, მთავარი საშიშროება აფლატოქსინებია. აფლატოქსინი ტოქსინების ერთ-ერთი სახეობაა, რომლის მაღალი დოზით მიღებამ, შესაძლოა, კიბო გამოიწვიოს. რძეში და რძის პროდუქტებში აფლატოქსინების მაქსიმალური დასაშვები რაოდენობაა 0,050 მგ/კგ-ში (1 მიკროგრამი/ 1 კილოგრამზე).

რძის შემთხვევაში კიდევ ერთი საშიში დამაბინძურებელი ტყვიაა (lead). მისი მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა ევროკავშირის მიერ 0,020 მგ/კგ-ად არის განსაზღვრული.

საშიშია ასევე დიოქსინების და პოლიქლორირებული ბიფენილების გარკვეული რაოდენობაც. რძისა და რძის პროდუქტების შემთხვევაში ეს რაოდენობა შეადგენს 3.0 პგ/გ (პიკოგრამი/გრამი) (WHO-PCDD/F-TEQ დიოქსინების მაქსიმალური ჯამი) და 6.0 პგ/გ-ს (WHO-PCDD/F-PCB-TEQ დიოქსინების მაქსიმალური ჯამი).

რეგულაცია EC 2016/52 განსაზღვრავს რადიოაქტიური დამაბინძურებლების მაქსიმალურ ზღვარს.

რძის შემთხვევაში მოცემულობა შემდეგია:

- სტრონიუმის იზოტოპების (განსაკუთრებით Sr-90) მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 125 ბქ/კგ;
- იოდის იზოტოპების (განსაკუთრებით I-131) მაქსიმალური დასაშვები რაოდენობა 500 ბქ/კგ;
- პლუტონიუმის და ტრანსპლუტონიუმის ალფა-ემისის იზოტოპების (განსაკუთრებით Pu-239 და Am-241) ელემენტების ჯამი - ბქ/კგ – 20 ბქ/კგ;
- ყველა სხვა ნუკლიდის/იზოტოპების (განსაკუთრებით Cs-134 და Cs-137) ჯამი – 1000 ბქ/კგ;

დამაბინძურებელი ნივთიერებების გარდა, ევროკავშირი ასევე აკონტროლებს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის პროდუქტში პესტიციდების ნარჩენების რაოდენობას.




რეგულაცია EC 396/2005 განსაზღვრავს პესტიციდების მაქსიმალური ნარჩენების ზღვარს მთელი რიგი პროდუქტისათვის. რძისა და რძის პროდუქტების შემთხვევაში ნარჩენის ზღვრულად დასაშვები რაოდენობა დაკონკრეტებული არ არის. იგულისხმება, რომ ეს მაქსიმალური ნორმა 0.01 მგ/კგ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

რეგულაცია 96/23/EC ადგენს საკანონმდებლო ბაზას ცხოველური წარმოშობის საკვებში ნარჩენების კონტროლთან დაკავშირებით. ცხოველური წარმოშობის პროდუქტები მკაცრად უნდა იყოს გაკონტროლებული, რაც გულისხმობს ცხოველებში, მათ ექსკრემენტებში, სხეულის სითხეებში და ქსოვილებში, ცხოველურ პროდუქტებში, ცხოველის საკვებში და სასმელ წყალში ნარჩენების შემოწმებასა და კონტროლს.

რეგულაცია 2002/99/EC ცხოველის ჯანმრთელობის საკანონმდებლო ბაზას ქმნის და განსაზღვრავს ადამიანის მოხმარებისთვის განკუთვნილი

ცხოველური წარმოშობის პროდუქტის წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის წესებს. წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე აუცილებლად უნდა იყოს გაკონტროლებული ის, რომ საკვების მწარმოებლებმა არ მოახდინონ ცხოველებისადმი გადამდები დაავადებების გავრცელება. ცხოველური წარმოშობის პროდუქტი უნდა იყოს მოპოვებული იმ ცხოველისგან, რომელიც აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ამავ რეგულაციის თანახმად, ცხოველური წარმოშობის პროდუქტისთვის აუცილებელია ვეტერინარული სერთიფიკატის მოპოვება. აღნიშნულმა სერთიფიკატმა უნდა დაადასტუროს, რომ პროდუქტი აკმაყოფილებს დირექტივით განკუთვნილ მოთხოვნებს ცხოველის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.





გარდა ამისა, იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ევროკავშირის ბაზარზე შესული პროდუქტის მაქსიმალური უსაფრთხოება, EC178/2002 რეგულაციის თანახმად, ბიზნესოპერატორებმა პასუხი უნდა აგონ პროდუქტის წარმოების და დისტრიბუციის შემდეგ ეტაპებზე:

- **შესაბამისობა საკვების ევროპულ კანონებთან (FOOD LAW)** – იმპორტირებული საკვები უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის საკვები კანონების მოთხოვნებს ან ევროკავშირის მიერ აღიარებულ ეკვივალენტს;
- **მიკვლევადობა** – ბიზნესოპერატორებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქტის მიმწოდებლის იდენტიფიცირება და მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინონ ეს ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს;
- **პასუხისმგებლობა** – ბიზნეს ოპერატორი პასუხისმგებელია წარმოების, გადამუშავების და დისტრიბუციის ყველა ეტაპზე, შესაბამისად, ის აგებს პასუხს, რომ ექსპორტირებული პროდუქტი უსაფრთხოა და შეესაბამება ყველა მოთხოვნას.

მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით, ევროკავშირს გააჩნია მთელი რიგი რეგულაციებისა, რომლის თანახმადაც ბიზნესოპერატორი ვალდებულია გააკონტროლოს ის, რომ საკვები ჯაჭვის არც ერთ ეტაპზე არ იყოს პროდუქტის უსაფრთხოება იგნორირებული და დაცული იყოს ჰიგიენური ნორმები. ასევე, გათვალისწინებულ იქნას საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული წერტილების მართვის სისტემის (HACCP) ყველა პროცედურა.

გამომდინარე იქიდან, რომ რძე და რძის პროდუქტები მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ პროდუქტებს, ევროკავშირში ამ პროდუქტის ექსპორტი ყველა ქვეყნისთვის შესაძლებელი არ არის. საქართველოს ოფიციალურად აქვს ევროკავშირში რძისა და რძის პროდუქტის გატანის უფლება, თუმცა, იმისათვის, რომ პროდუქტი ევროკავშირის ბაზარზე მოხვდეს, ის უნდა იყოს მოპოვებული ან/და დამზადებული ისეთ დაწესებულებებში (სასაკლაო, ქარხანა), რომელიც აღიარებულია Directorate General for Health and Food Safety-ის მიერ.

ევროკავშირი ასევე განსაზღვრავს რძისა და რძის პროდუქტების ეტიკეტირების წესებს. (EU) No 1169/2011 რეგულაციის თანახმად, პროდუქტის შეფუთვაზე დატანილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- პროდუქტის სახელი;
- ინგრედიენტების ჩამონათვალი;
- მასა (ნეტო);
- ვარგისიანობის ვადა;
- შენახვის ან/და მოხმარების პირობები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- წარმოშობის ქვეყანა.

2016 წლიდან ასევე სავალდებულო გახდა პროდუქტის საკვები ღირებულების მითითება, კერძოდ, სავალდებულოა მიეთითოს:

- ენერგეტიკული ღირებულება;
- ცხიმის, გამაჯერებლების (saturates), ნახშირწყლების, შაქრის, პროტეინის და მარილის რაოდენობა;
- გარდა ამისა, თუ პროდუქტი შესაძლოა იყოს ალერგიული გარკვეული ჯგუფებისთვის, ეს აუცილებლად უნდა იყოს მითითებული შეფუთვაზე.

რძის შემთხვევაში ასევე არსებობს, რამდენიმე დამატებითი მოთხოვნა, კერძოდ, ცალკე უნდა იყოს მითითებული:

- ცხიმის რაოდენობა (გამონაკლისია შედედებული რძე, ტკბილი შედედებული რძე და უცხიმო რძე);
- უცხიმო რძის ექსტრაქტის პროცენტულობა;
- გაზავების და აღდგენის მეთოდები (დეჰიდრატირებული რძის შემთხვევაში);
- ის, რომ პროდუქტი არ არის განკუთვნილი 12 თვემდე ბავშვებისთვის (დეჰიდრატირებული რძის შემთხვევაში).

თუ რძე ან რძის პროდუქტი გენეტიკურადაა მოდიფიცირებული, მას ევროკავშირის ბაზარზე მოსახვედრად დამატებითი კრიტერიუმების დაკმაყოფილება მოუწევს.

ასევე, რამდენიმე დამატებითი კრიტერიუმია ორგანული პროდუქტის შემთხვევაშიც, თუმცა ეს მოთხოვნები სავალდებულო არ არის და მხოლოდ ნებაყოფლობით კრიტერიუმებს წარმოადგენს.

პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the Economic Policy Research Center (EPRC) and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.



ნაუნდა ვიცოდეთ
ჩინა და ჩინ
პროექტების
წარმოების, დამზადებისა
და ჩეაღიგაჩიისათვის

სამოქალაქო საზოგადოება –
მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის
მხარდობსაჭერად

 DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის / DCFTA for SMEs

მისამართი: თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 85
ტელ: 032 220 73 05
ელ. ფოსტა: iguruli@eprc.ge